ოთხშაბათი. 1917 წ. გიორგობისთვის 15 (28) № 253

ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 15/28 253

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა წარდგენილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5 თავად-აზნაურობის ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

### ცნობებიდან

კერენსკის ხელმეორედ გაულაშქრნია მოსკოვსა და პეტროგრადისკენ. რკინის გზის კავშირმა ჯარების გადაყვან-გადმოყვანა აკრძალა. მოსკოვის სახელმწიფო ბანკში ბოლშევიკებს 5 მილიონი ოქრო ჩავარდნიათ ხელში.—გატჩინოში მიხეილ ალექსანდრეს ძე დაუტუსაღებიათ.—მოსკოველი ბელგეთის ქვეშევრდომნი დონის მხარეში გადადიან. ირ. წერეთელი ჩერნოვის წინადადებაზე ბანაკში არ წასულა. გენერალი მოდი გარდაცვლილა.

### წერილებიდან

**მეთაური.** სოფლის მილიცია.

**ირაკლი ამირეჯიბი.** ქალაქთა გამრავლება საქართველოში.

**ლ. ბახტაძე.** ლენინი და დროებითი მთავრობა

**მ. ჯანაშვილი.** მოწინავე რაზმი.

**მ. ბროძელი.** ვორონეჟის ამბები.

**კორესპონდენცია.** (ახალციხიდან)

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების კრება.

თბილ. გუბერნ. ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგად.

გამგე კომიტეტი

აცხადებს, რომ 17 ამა გიორგობისთვეს, საღამოს შვიდ საათზედ, ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საზოგადოების

საგანგებო კრება

განსახილველადაა საკითხი საზოგადოების წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლის შესახებ.

(3—876—3)

ქართული კლუბი

ქართული დრამა. წარმოდგენა № 16.

ოთხშაბათს 16, ოთხშაბათს 20 ნოემბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ დრამ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

ორჯელ ახალი პიესა ნ. შიუკაშვილისა.

I

სული

დრ. 3 მოქმ.

II

საღამოს ერთი ცხვირი ხვირია

ვოდ. 1 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ქილარჯიშვილი მ., ქიქოძე ან., ივერიელი ა., ჩერქეზიშვილი ელ., ჯაფარიშვილი ნ. ბ-ნნი: აბაშიძე ვას., გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., მატარაძე ვ., ჟვიძე ს., შალიკაშვილი ვ., ცაციშვილი ნ.

3—836—2 რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

საჯარო ვაჭრობა

გიორგობისთვის 17-ს ყარაიაზში საეროზო კავშირის 200 ცხენი საჯაროდ გაიყიდება.

3—387—1

Г. ГВАЗАВА

ГРУЗІЯ

съ точки зрѣнія

МЕЖДУНАРОДНАГО ПРАВА

გამოიცა და იყიდება საქ. ეროვ. დემ. პარტიის ბიუროში.

10—6

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

## გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

### მამულიშვილნო!

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის** მიზანია თავისუფალი საქართველოს აღდგენა... მთელი ამიერეთი და იმერეთი უნდა გაერთიანდეს და დაამყაროს ის ეროვნული თვითმართველობა, რომლის უფლებანი საქართველოს ეკუთვნის 1783 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებით.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** არ არის სოციალისტური პარტია, იგი მოითხოვს ყველა კლასთა შეთანხმებას და თანამშრომლობას, რათა ქართველმა ერმა გაერთიანებული ძალებით დაიცვას თავისი თავი და მიაღწიოს თავისუფლებას.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** იცავს კერძო მესაკუთრეს უფლებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ვინაიდან მხოლოდ კერძო საკუთრების, კერძო თაოსნობის და კერძო შემოქმედების განმტკიცებით შეიძლება ქართველი ერის გამდიდრება, განათლება და გამრავლება.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** მოითხოვს თანასწორობას ქართული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** მოითხოვს რათა საქართველოს ავტონომიურმა მთავრობამ გამოისყიდოს იძულებით დიდი მამულები და გადასცეს იგი უმამულო მიწის მუშას, გლეხს სრულ საკუთრებად, იმ წესით, რა წესსაც საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება დაადგენს...

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** მოითხოვს ქართულ მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის და აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარებას.

**მამულიშვილნო!**

ვისაცა გწამთ რომ მთლიანი თავისუფალი საქართველო კერძო მესაკუთრეს თავისუფალ შრომაზე უნდა იყოს აშენებული,

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას № 8-ს.

**მესაკუთრენო!**

გახსოვდეთ, არც ერთი ხმა სოციალისტებს!

მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაიცავს თქვენს ინტერესებს, როგორც რუსეთის ისე საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე.

## მიეცით ხმა საარჩევნო სიას №

# 8

1. **ძედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ყურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი.
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა.
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

არჩევნები სოფლად 18 გიორგობისთვეს თავდება

**თბილისი, გიორგობისთვის 14.**

# სოფლის მილიცია

რევოლუციის პირველ დღეებშივე მოხსნილ იქმნა ქალაქებში და სოფლებშიც ახალი მთავრობის მიერ დამცველი პოლიცია.

უნდა ითქვას, რომ ძველი რეჟიმის დროს ისე იყო მოწყობილი პოლიციის მართებლობა, რომ მისი მოსპობა აღიარებულ იქმნა უპირველეს საჭიროებად, პოლიცია არ ასრულებდა თავის პირდაპირ დანიშნულებას, როგორც ეს არის მიღებული ევროპიულ სახელმწიფოებში, პოლიცია გადაიქცა ყოველივე უკანონობის და უწესოების ბუდედ, ხშირად პოლიციურ წრეებში მუშავდებოდა გეგმები ბოროტ-მოქმედების და მიუხედავად იმისა, რომ ძველი სასამართლოც იარაღი იყო მათი ან მათი მფარველობის ხელში არ ყოფილა ისეთი მოხელე, რომელსაც თავისი ადმინისტრატიული კარიერა ბრალდებულის სკამით არ გაეთავებინოს, მექრთამეობა და პროვოკაცია— ასულდგმულებდა მათ მოღვაწეობას.

მთავრობა ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა მათ, და მაშინაც კი, როცა სახელმწიფო ბიუჯეტი ისეთს რყევას განიცდიდა, რომ დღე დღეზე მოსალოდნელი იყო გაკოტრება, შინაგან საქმეთა მინისტრი პროტოპოპოვი 150 მილიონს ითხოვდა პოლიციის შტატის გასაძლიერებლად. რევოლუციის დროს პოლიცია მილიციით შესცვალეს, შეუძლებელი იყო რომ ასეთი საქმე მალე მოეწყობულიყო, საზოგადოების ბუნებაში საკმაოდ გამჯდარი იყო ძველი ზნე-ჩვეულება, მალე მისი გარდაქმნა ერთბაშად შეუძლებელი შეიქნა. მილიციის საქმეს რუსეთში ეტყობა ჯერ-ჯერობით მოუწყობლობა, ისე როგორც მთავრობას, რომელიც მუდამ ირყევა. სატახტო ქალაქებს მძარცველთა ტერორი აფორიაქებს და მოქალაქის კეთილდღეობა ვერ არის უზრუნველყოფილი.

სოფლებში კიდევ უარესად არის საქმე დაყენებული იქაც მოსპეს საეროობო დარაჯები, რომელიც უწინ საშინელ ტვირთად აწვა სოფელს, სამაგიეროდ სოფლის დაცვის საქმე ამით სრულიადაც არ გაუმჯობესებულა. სოფელში, სადაც ომის გამო თითქმის სულ არ მოიძებნება მამაკაცები და სოფელი ქალებით და მოხუცებით ან ბავშვებით არის სავსე, თავი იჩინა ცარცვა-გლეჯამ და ყაჩაღების ბრბო შიშის ზარს სცემენ ზოგიერთ კუთხეებს. ამიტომ აუცილებლად საჭიროა მალე მოგვარდეს სოფლის საქმე, სოფელს აუცილებლად სჭირია შეიარაღებული ძალა, რომ დარაჯად ედგეს სოფლელთა ქონებას და მყუდროებას, თორემ შეიძლება რომ უწესრიგობამ ხალხს გული გაუტეხოს რევოლუციაზე და რევოლუცია მისთვის სინონიმი შეიქნეს ძალადობის და ანარქიის.

როგორც ვიცით, კიდეც შეუმუშავებიათ დებულება სასოფლო მილიციის შესახებ. მილიციაში 20 კომლზე თითო კაცი ირჩევა, სოფლის მილიციონერები მსწრაფლ-სასროლ იარაღით იქნებიან შეიარაღებული, ამის საფასურს იხდის კავკასიის საგანგებო კომიტეტი, დებულებაში აღნიშნულია გარანტიები, რომ იარაღი არ დაიკარგოს და აგრეთვე, რომ იარაღი საიმედო პირებს ჩააბარონ, აგრეთვე მილიციონერთა პასუხისმგებლობა. საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს სოფელში არჩევნები ამ დებულების ძალით მილიციონერების, დაყოვნებას შეუძლია საქმე გააფუჭოს სამუდამოდ, როგორც არჩევნები მოხდება მათ უმალვე იარაღი დაურიგდებათ თბილისის საარტილერიო საწყობიდან მთავრობის საფასურით. დღეს ისეთი რყევის დროა, რომ მეტი თანხმობაა საჭირო და ბეჯითობა, რომ საქმე მოგვარდეს და სოფელი არ გატყდეს უწესრიგობით.

# ქალაქთა გამრავლება საქართველოში

ამ ბოლო დროს მკითხველი შეამჩნევდა გაზეთებში, რომ ხშირად მოწერილია ან ამბავი ანდა ტელეგრამა, მაგალითად „ქალაქ ხაშურიდან, ქალაქ სურამიდან, ჭიათურიდან, შორაპნიდან, ზესტაფონიდან, ბელაგორიდან, ლანჩხუთიდან“ და სხვა წინად პატარა სოფლად ცნობილ ადგილებიდან.

საქართველომ ფუტკარსავით იყარა და მრავალი ქალაქი წარმოშვა. რამდენიმე ასი წლის შემდეგ ალბად ვინმე ქართველი მკვლევარი დიდ აურზაურს ასტეხს, საქართველოში ასსამოცი ქალაქი ყოფილა და ქართული კულტურა იმ დროს ე. ი. მე-XX-ე საუკუნეში დუღდა და გადმოდიოდაო.

ასეთი კვლევა-ძიება ჩვენი შვილისშვილებისთვის იქნება გასართობიც იყოს, ან კიდევ ეროვნულ გრძნობის საკვები, მაგრამ დღევანდელ ქართველობას ძალიან ძვირად დაუჯდება ამ „ქალაქობა“-ს თამაში. მიზეზი სოფლების გაქალაქებისა იმაში კი არაა მდგომარეობს, რომ მართლა ეს პატარა სოფლები ღირსშესანიშნავ სავაჭრო მიცემოს ცენტრებს წარმოადგენდნენ, ან შეეძლოთ საქალაქო ხარჯები გასწიონ, არა, ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ხსენებულ ადგილებში არსებული ადგილობრივი ორგანოები მმართველობისა დაინტერესებულნი არიან ასეთ ცვლილებით, თუმცა ძნელია მიხვედრა—თუ რად? ჩვენ ეს მოვლენა მავნებლად მიგვაჩნია საქართველოსთვის. აი რატომ. ზემოხსენებული სოფელ-დაბების გაქალაქება მოითხოვს დიდს ხარჯებს ადგილობრივ მცხოვრებთაგან. ასეთ გაქალაქებას მოჰყვება ახალ გადასახადთა შემოღება, როგორიც არის დაბეგვრა სახლ-კარ-მიხადრობის ადგილებისა, ადგილობრივ სავაჭრო სახლებისა და შეტანილ და გამოტანილ საქონელზედ ბაჟის დადება; სადაც რკინის გზის სადგურია, შემოდება საფუთო გადასახადისა. ყველა ეს გადასახადები საჭირო იქნება, უპირველეს ყოვლისა, ქალაქის თვით.მმართველობის მოთანამდებე პირთა ჯამაგირებისთვის—ქალაქის თავი, მმართველობის წევრები, საბჭოს თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივნები და კანცელარია.

თუ ქალაქს გასამშვენიერებლადაც იზრუნეს, უფრო მეტი უნდა ჰქონდეს ქალაქს შემოსავალი და შემოსავალი კი გადასახადებისაგან შესდგება. მაშინ დაიწყება ახალი ტვირთი ქოხების პატრონეს, რომელნიც პროლეტარებად არიან გამოცხადებულნი. მედუქნეებს, ვისაც დუქანში ორი კოლოფი წუმწუმა და ერთი ფუთი მარილი უყვია და სადგურებზედ გაიგზავნება კომბოსტო, ჭარხალი, ღვინო თუ სხვა რამე, ფუთზედ რამდენიმე კაპიკი გადახდება და საქონლის ფასი აიწევს. საერთოდ ასეთ ექსპერიმენტს გასაჭირი დაერთვის ზედ და ის მედუქნე, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, ეგითი ხურჯინით წაიღებს თავის საქონელს მეზობელ სოფელში და იქ დაიწყებს ვაჭრობას. საქონელსაც სხვა სადგურებზედ გაგზავნიან, სადაც ეს მოხერხდება. იმ აზრით, რომ საფუთო გადასახადი არ წასულიყო და ხელიდან, ხაშურის „ქალაქის“ თვითმმართველობა, ხაშურის მეთაურებმა გადასწყვიტეს სიტყვიერად, რომ მომავალ ხაშურის ქალაქის ბიუჯეტს მიემატოს სადგურ გომის გასულ საქონელზედ აღებული საფუთო გადასახადი. სადგური გომი 12 ვერსით არის მოშორებული ხაშურზედ. აგრეთვე უზრუნველ ზესტაფონისა და შორაპნის ერთ ქალაქად გამოცხადება ფინანსიურის თვალსაზრისით. საერთოდ არ არის კარგი და სასარგებლო ხელოვნურად შექმნა ქალაქებისა. კარგი იქნებოდა ეს პროცესი ბუნებრივად მომხდეს. ყველა ეს აიხსნება იმით, რომ დღევანდელ პროვინციის მოღვაწეებს სურთ გულზედ ჯაჭვით ათასნაირი და ახალი ჯამაგირების გაჩენა. ახალი ჯამაგირები ნამდვილ ქალაქებსაც ახრჩობს ახალ დაბადებულებს და ძალით ნაზობებს ხომ სიცოცხლეს მოუსპობს. მაგალითად, ქალ. გორს წარმომადგენლობაზედ ე. ი. ქალაქის თავზედ და გამგეობის წევრებზედ თვეში ეხარჯებოდა წინად 550 მან. ეხლა ქალაქის თავი, მისი სამი წევრი, თავმჯდომარე საბჭოსი და მდივანი საბჭოსი ერთად იღებენ ჯამაგირებს 2000 მანეთს. ეს ისეთი ხარჯია, რომ ვერც გორი და ვერც მისი მსგავსი პატარა ქალაქი ვერ აიტანს და დავალიანდება. დავალიანებული ქალაქის საქმე კი წინ ვეღარ წავა და უკან დაწევა ეხლავე შეეტყო. სულ მეტია სოფლების ქალაქად გამოცხადება, ვისაცა ჰსურს ხსენებულ სოფელ-დაბების გაუმჯობესება, იმან ქალაქთა დებულებებს კი არ უნდა მიმართოს, არამედ ფართო ადგილობრივ თვითმართველობას, რომელსაც ამ მოკლე ხანში შემოიღებენ.

**ირაკლი ამირეჯიბი.**

# ლენინი და დროებითი მთავრობა.

ჩრდილოეთიდან ცუდი ამბები მოდის. ფრონტი თითქმის მიტოვებულია, ალაყაფის კარები თვითონ რუსებმა გაუღეს მტერს, მხედრობა კი მორბის, რომ გაორკეცებულ მხნეობით ჩაერიოს იმ ბრძოლაში, რომელიც ამტყდარა პარტიათა შორის უზენაესი ხელმწიფების ხელში ჩასაგდებად. იმედი არ გვიმართლდება. ჯერ ვერ ვხედავთ პარტიათა შორის შეთანხმებას, ვერც ერთმა იმათგანმა ვერ გამოიჩინა შორს მჭვრეტელობა, გამოცდილ დიპლომატის მოქნილობა, ყველა ჯიუტობს, არც ერთს არ უნდა დაუთმოს მეტოქეს. ტყვილად უძახის ნანგრევებიდან ლენინი დამხობილ მთავრობის მომხრეებს, შემოკრბით, საერთო ძალით და თანხმობით შეეცადოთ სამშობლოს საშინელ გასაჭირისაგან ხსნასო. არავისა ჰსურს მისი ძახილის გაგონება.

იმ დროს კი, როდესაც პარტიათა ბელადებს ყელში წაუჭერიათ ერთმანეთისთვის, ყაზახთა გენერალი კალედინი, ის გენერალი, რომელიც გუშინ ყველა სახლების ბანებზე ფიცულობდა „მე არაფერ შუაში ვარ ამ ბრძოლაშიო, ავი ენები მიგონებენო“,—ნელის, მაგრამ ბეჯითი ნაბიჯით ლაშქრით მიემართება პეტროგრადის ასაღებათ, გზაში მას ქალაქი ქალაქზე ნებდება.

და შეფერხდა ისტორია ხალხისა...

ამ ორი თვის წინ, როდესაც გენერალი კორნილოვი თავის ველური მხედრობით პეტროგრადს მოადგა, ლენინმა მეტი შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, ვიდრე ახლა მისმა მტრებმა. რანაირა ძლიერი მტრის მოახლოვება,იგი მყისვე მიემხრო დროებითი მთავრობას, რომ საერთო ძალით, ერთი დაკვრით მოესპო იგი. კორნილოვის გამარჯვება, იგივე მილიუკოვის და გუჩკოვის გამარჯვება იქნებოდა. ლენინი და მისი მეგობრები თანახმად მოქმედებდნენ მაშინ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან და კიდეც შესძლეს საერთო ძალით კორნილოვის ლაშქრის თავის მხარეზე გადაყვანა და კორნილოვის სრული განმარტოება ჯარისაგან. ყველასაგან მიტოვებული გენერალი მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა დროებითი მთავრობას და სთხოვდა დატყვევებას, რადგან მისი მდგომარეობა საშიში შეიქნა. მაშინ ლენინი და მისი მეგობრები, რომელნიც, მთავრობისგან დევნილნი, სარდაფებში და ხვრელებში იმალებოდენ, ზევით ამოვიდნენ და განკარგულებებს აძლევდნენ, რომ მტერი არ შემოეშვათ. ლენინი და ზინოვიევი გარდაცმულები საზამთრო სასახლეში, სადაც უზენაესი მხედარი მთავარი ცხოვრობდა, ყარაულებს აყენებდნენ და ამაგრებდნენ სასახლეს მტრის დასახვედრათ. ეს ფაქტი დამტკიცებულია. ისინი უფრო დაახლოვებულათ უყურებდნენ დროებით მთავრობას, ვიდრე მილიუკოვს, გუჩკოვს და მათგან წაქეზებულ გენერალს. ლენინის მაშინდელი გამოსვლა, მის ძალთა მობილიზაცია იყო.

ამას ვერ მიხვდა ბეცი მთავრობა. კორნილოვზე გამარჯვების შემდეგ კერენსკიმ ხელი მიჰყო კვეხნას და მუქარას. იგი ამ გამარჯვებას თავის სტრატეგიულ ნიჭის და დროებითი მთავრობის ხალხზე გავლენას აწერდა.

მთავრობამ შეთანხმების და დათმობის მაგიერ, ისევ დევნა დაუწყო ლენინს და მის მეგობრებს. ლენინი და მისი მეგობრები გამარჯვების შემდეგ, დევნილ ნადირივით ისევ გაემართნენ ხვრელებისკენ თავის შესაფარად.

ნადირი დიდი ცდის შემდეგ, დრიალით ისევ ამოვიდა ხვრელიდან. ლენინმა საშინელი სიმკაცრით მიღეწმოლეწა უგუნური მთავრობა და მის ნანგრევებზე ზის ახლა იგი თავის მეგობრებით და მთავრობის წევრები, მისი მტრები, ხვრელებისკენ გაისტუმრა, საიდანაც თვითონ გამოვიდა.

კერენსკი კი, მექსიკის პრეზიდენტივით ჯარებისგან მიტოვებული, საიდღაც მიიმალა. ახლა იბადება კითხვა: ვინ შესძლებს ამ აბობოქრებულ ზღვის ტალღებში სახელმწიფო ხომალდის უვნებლათ გატარებას? ვინ წამოისხამს კერენსკის მანტიას? გაზეთები გარდმოგვცემენ: ჩერნოვი ახერხებს სამინისტროს შედგენასო, ეს ცნობა, ჩემის ფიქრით, ნაძირევია, ჩერნოვის სახელი შფოთისა და ღრტვინვის სინონიმია. მისი სამინისტრო ვერავის დააკმაყოფილებს, იმასაც არ უნდა ბოლშევიკები გაირიოს და უბოლშევიკოდ კი ახლა სამინისტრო ვერ შესდგება. ასეთი სამინისტროს პოლიტიკა იმ ჰინვრაქის საქციელს ემგვანება, რომელიც ჰექა-ქუხილის დროს ზურგით დაეცა მიწაზე და ფეხები მაღლა აიშვირა, თუ ცა ჩამოიქცა მე მარტო შევაჩერებ და ქვეყანას მე მარტო ვიხსნი უბედურებისგანო.

**ლ. ბახტაძე.**

# ომი და ზავი

## დეპეშები

### აღმოსავლეთის ფრონტი.

**რუსეთის შტაბის ცნობა.**

**შტაბი.** გიორგობისთვის 10. **ჩრდილოეთის ფრონტი.** სროლაა. ოდოხოვშჩინის რაიონში დაზვერვებს არ სწყვეტენ.

**სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.** სროლაა, მეტად გამწვავებული სოფ. პოსტულუვკის სამხრეთით და გუსიატინის რაიონში.

**რუმინეთის და კავკასიის ფრონტი.** სროლაა.

**ბალტიის ზღვა.** უცვლელადაა.

### რუმინეთის ნეიტრალობის დარღვევა

„პეტროგრადის იზვესტია“-ში იბეჭდება დოკუმენტები და ფარული მიწერ-მოწერა. დოკუმენტები უმთავრესად შეეხება რუმინეთის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევას.

### სიმშილი მე-12-ე ლაშქარში

მე-12-ე ლაშქრის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იუწყება: რამდენიმე დღეა რაც ლაშქარს არც ერთი გირვანქა ფქვილი და ქერი არ მოეპოვებაო. ლაშქარი ახლა სუხარზეა მინდობილი. მალე ესეც გამოილევა და პურის ძებნაში უკან წამოსულ ლაშქარს ვეღარა დაუდგება რა წინ.

### აღმოსავლეთ აფრიკაში

ჩივატაში ინგლისელებმა ტყვედ იგდეს გერმანელების 19 ოფიცერი და 79 ჯარის კაცი; გიორგობისთვის 4-ის და 5-ის ცხარე ბრძოლის შემდეგ მტერმა სიმბასისკენ დაიხია. ტყვედ ვიგდეთ გერმანელთა 20 ოფიცერი, 242 ჯარის კაცი და 1.700 ასკერი.

### პალესტინაში

ინგლისელები ოსმალებს მისდევენ. ჯარი ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ მიიწევს. ცხენოსნები ბიელისკენ, იერუსალიმ-ნაბულესის გზით, მიდიან. ღვინობისთვის 25-დან ოსმალთა 19 ჰაეროპლანი დავღუპეთ.

### გენ. მოდის მოადგილე

**მესოპოტამიაში** გენ. მოდი გარდაიცვალა. მისი ადგილი გენერალ მარშალმა ჩაიბარა.

### დასავლეთის ფრონტი იტალიეთში

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: იტალიეთში სერიოზული მდგომარეობა უმჯობესდება. შენდება ახალ-ახალი სიმაგრეები. მხოლოდ პიავის ხაზზე მარცხენა ფრთა გრაპპესკენ იხევს.

### მოკავშირეთა დახმარება

პარიზიდან იტყობინებიან: მოკავშირეთა წარმომადგენლები იტალიის ჯარს აშველებენ მტრის იერიშების შესაჩერებლად.

# ბოლშევიკების დიქტატურა

## პეტროგრადში

### კრილენკოს განცხადება.

კრილენკო აცხადებს, ფრონტზე მივდივარ, სამინისტროს პოლიტიკურ საქმეებს დროებით ვაბარებ პოდვოისკის.

### დუხონინი და კრილენკო.

დუხონინს განუცხადებია, თუ ჩემთან კრილენკო ჩამოვა დავიჭეროო.

### იუნკრის სასწავლებლები.

კრილენკო შლის იუნკრის სასწავლებლებს. მათ კონტრ-რევოლუციის ბუდეად სთვლის, რადგან ახალი მთავრობა არა სწამთ.

### ფინანსიურ ოპერაციების კონტროლი.

პეტროგრადის მუშებს განუზრახავთ აუცილებლივ მოაწყონ კონტროლი ახალი მთავრობის ფინანსიურ ოპერაციებზე.

### ლენინის მორატორიუმი

გამოქვეყნდა ლენინის მორატორიუმი, რომლითაც თავისუფლებს ორი თვით კიდევ ეძლევათ ვადა ფულის გადახდაზე. მორატორიუმი მოქმედებაში შევა გამოცხადებისამებრ. იგი ყველგან ტელეგრაფით უნდა გავრცელდეს.

### დადგენილება ქაღალდის შესახებ

გამოცხადდა ლენინის დადგენილება ქაღალდის შესახებ, რომლითაც ნებადართულია ფინლიანდიის მექარხნეთაგან თავისუფლად ქაღალდის გამოტანა.

### კერენსკის ახალი გალაშქრება

რუმინეთის ფრონტის და შავი ზღვის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ილინსკი აუწყებს კავკასიის მხედრობათა კომისარს: უკანასკნელ ცნობებით კერენსკიმ ხელმეორედ გაილაშქრა უფრო ძლიერ ძალებით პეტროგრადისა და მოსკოვისაკენ.

## მოსკოვში

### ამბოხების მსხვერპლთა დაკრძალვა

გიორგობისთვის 10. ამბოხების მსხვერპლთა დაკრძალვის დღე. ტრამვაი არ მოძრაობს. მაღაზიები დახურულია. არ ჩანან მეეტლენი. ქუჩები უდაბნოდ ქცეულან. პროცესიაში სამღვდელოება არ მონაწილეობს.

### ქაღალდის ფულის კრიზისი

გიორგობისთვის 7-ის „ტრუდი“ გადმოგვცემს: გუშინ ქალაქში წვრილ ქაღალდის ფულის (1,—3,—5 მანეთ.) კრიზისმა იჩინა თავი. მაღაზიებში ათუმნიანებს აღარ ახურდავებენ და საქონლის ნამდვილ ფასის მიცემას მოითხოვენ.

### კოოპერატივთა საბჭოს მოწოდება.

სრულიად რუსეთის კოოპერატივთა საბჭომ მოწოდებით მიმართა კოოპერატივებს. მოუწოდებს მოითხოვონ: დროებით მთავრობის წევრთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება, კანონიერ მთავრობის აღდგენა, პიროვნებათა ხელშეუხებლობა, კანონებისა და სასამართლოს მოქმედებათა აღდგენა, სასამართლოში მიცემა მათი, რომელთაც ხიშტებით იგდეს მთავრობა და დამფუძნებელ კრების მოწვევა.

### შენობების განადგურება

გიორგობისთვის 3 და 4 კიდევ გრძელდებოდა ზარბაზნების სროლა. ქალაქის რამდენიმე ნაწილში უზარმაზარი ცეცხლი გაჩნდა. იწვის მთელი უბნები. მიძინების ტაძარი დამტვრეულია სულ. წმინდა ბასილის ეკლესია გადაიწვა, ქალაქის გამგეობის შენობა დანგრეულია. მთელი დღეები მძიმე ზარბაზნების გრიალი არა სწყდება. მთელი ქალაქი სიბნელეს მოუცავს. მცხოვრებლები ქუჩაში არ გამოდიან. პური არსად არ იშოვება.

# ეკონომიური ცხოვრება

## ტრანსპორტის შეწყვეტა

საომბო მასალის მომზადებლმა რწმუნებულმა სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირს მისწერა, თუ რკინის გზებზე მოძრაობა არ გაძლიერდა, ზამთარში ბევრი ქარხანა შედგება, რკინის გზებზე მოძრაობა შეუძლებელი იქნება და ქალაქებში მცხოვრებნი გაიყინებიანო.

## მექარხნეების დატუსაღება

სმოლნის ინსტიტუტში ამ ჟამად დატუსაღებულია რამდენიმე მექარხნე, რომლებსაც ბრალად სდებენ, რომ მათ არა ჰსურთ მუშებთან მორიგება.

## შიმშილი ჯარში

საფუძველთო და თავდაცვის კომისარს თუღარონეის უწყება ჯარი შიმშილს ვერ აიცილებს თავიდანო.

# უკანასკნელი დეპეშები

გერმანელები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს რუსის ჯარის ზურგში მომხდარ ამბებს. გერმანელების უმთავრესი ტელეგრაფის ცნობებიდან ჩანს, რომ მათ პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ პეტროგრადთან.

—

დამფუძნებელ კრების კანდიდატი კადეტებს, პეტროგრ. ბოლშევიკებმა დაატუსაღეს.

—

ხარბინში ჩინეთის ჯარი გაჩნდა, ვითომდა ჩინელების დასაცავად.

—

გენ. დუხონინს განუცხადებია, თუ ფრონტმა მოითხოვა, თანამდებობიდან გადავდგებიო.

—

მოსკოვში მცხოვრები ბოლგელები ყაზახებს სთხოვენ დაეხმარნენ თავიანთი ოჯახების დონის მხარისკენ გადაყვანაში.

—

რკინის გზის კავშირმა კატეგორიულად გადასწყვიტა არავის ჯარი არ გადაიყვანოს.

—

სახელმწიფო ბანკის მოსკოვის განყოფილებაში ბოლშევიკებს 5 მილიონი ოქრო ჩაუვარდათ ხელში.

—

ტროცკის განუცხადებია, უცხოელ ელჩებს რუსეთიდან არ გავუშვებთ. ზომები უკვე მიიღეს, რომ მათ ვერ შესძლონ რუსეთიდან წასვლაო.

—

გატჩინოში ცნობილმა ბოლშევიკმა როშალმა დაატუსაღა მიხეილ ალექსანდრეს ძე.

—

სარატოვში ხიფათარე ჩამოვარდა. გაზეთების ცენზორად დალაქი დაუნიშნავთ. დატუსაღებულია 500 იუნკერი.

—

ჩერნოვის წინადადება შტაბში წასვლის შესახებ წერეთელმა არ მიიღო.

**გაზეთ „საქართველო“-ს რედაქცია და კონტორა ახალ ბინაზე გადავიდა სასახლის ქუჩა, № 5, თავად-აზნაურობის სახლი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტთან. ტელეფონი იგივეა 15—73.**

# ქრონიკა

## თბილისი

✦ **ამიერ-კავკასიის მთავრობა.** გიორგობისთვის 13-ს სხდომა ჰქონდა საზოგადოების თავდაცვის კომიტეტს მთავრობის შედგენაზე. თათბირის შემდეგ საკითხი საბოლოოდ გადაწყდა და მთავრობაში შევიდნენ: სოც.-დემოკრატების მხრივ ევ. გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი და ტერ-ყაზარიანი; ესერების მხრივ დონსკოი და ნერუჩევი; სოც.-ფედერალისტების მხრივ შ. მესხიშვილი; დაშნაკელების მხრივ ოგანჯანიანცი და კარჩიკიანი.

✦ **ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა.** ყრილობის მოწვევე ბიურომ გადასწყვიტა, რომ ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა უთუოდ გიორგობისთვის 30-ს იქმნეს მოწვეული თბილისში და გაგრძელდეს 5 დღეს. კრებაზე მთელი კავკასიის ქალაქების წარმომადგენლები უნდა დაესწრონ და საქციები გადასწყვიტონ, ერთი ორგანიზაცია შესდგეს ყველა ქალაქებისა, თუ ცალ-ცალკე ჩრდილო და ამიერ კავკასიისათვის. კრებაზე მიწვეული არიან სხვა და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ბიუროს სეკრეტარიატის ხელმძღვანელებად მიწვეული არიან ქ-ნი ი. ქორღანია და მ. ჩხეიძე.

✦ **მორატორიუმი.** თბილისის ბანკებმა მორატორიუმი გამოაცხადეს. მიმდინარე ანგარიშში მხოლოდ 10 პროცენტს იძლევიან. მორატორიუმი გამოაცხადეს აგრეთვე პროვინციის ბანკებმა. მორატორიუმის მიზეზი რუსეთიდან ფულის მოუსვლელობაა.

✦ **სამიწო-მამულთა კომიტეტი.** გიორგობისთვის 5-ს და 6-ს შესდგა თბილისის გუბერნიის სამიწო-მამულთა კომიტეტის პირველი სესია, რომელზედაც მაზრების წარმომადგენელი ერთობ ცოტა დაესწრნენ. ამიტომ აირჩიეს დროებითი სამიწო-მამულთა გამგეობა, რომელშიაც შედის 4 კაცი: მარჯანიშვილი, კახაიოვა, გაგლოშვილი და ერზინკიანი. ამ გამგეობას დაევალა მოკლე ხანში მოიწვიოს მეორე სესია მუდმივი სამიწო-მამულთა გამგეობის ასარჩევად. მეორე სესიის მოწვევა ქრისტეშობისთვის 10-თვისაა განზრახული.

✦ **ქართული ოპერა.** რადგან ბ-ნი მ. ბალანჩივაძე ამ ჟამად თბილისში იმყოფება, მისმა პატივისმცემლებმა გადასწყვიტეს ახლო მომავალში დასდგან ბეჭურ სცენაზე მისი ოპერა „თამარ ცბიერი“. ოპერის რუსულიდან ქართულად გადათარგმნა იკისრეს არ. ახნაზაროვმა და ვალ. გუნიამ.

✦ **ღვინის ვაჭრობა.** გიორგობისთვის 9-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობასთან არსებულმა საგანგებო კომისიამ თბილისში ღვინის ვაჭრობის ნება დართო 22 ფირმას. გარდა ამისა თითოეულ უბანში ვაჭრობის ნება ეძლევა თითო კავშირს და აგრეთვე ვაჭრობის მოწყობა შეუძლიან კახეთის მევენახეთა კავშირთა კავშირს. ვაჭრობა დაიწყება თბილისში მომავალ კვირაში.

✦ **ქალაქის წყალსადენი.** წყალსადენი უკვე მოეწყო და გუშინდელ დღიდან ყველა უბანში შეუწყვეტლად ეძლევათ წყალი. რადგან ზამთარი მოახლოვდა და საშიშია, რომ ყინვამ წყლის საზომები არ გააფუჭოს, ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სახლის პატრონებს, რომ თვითონ მოუარონ წყლის საზომებს. ქალაქის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს მომავალ ზაფხულისათვის მოაწყოს სამი ახალი წყლის გასაშვები სადგური მთა-გორიან უბნებისათვის. გამგეობას აგრეთვე გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს მესამე მაგისტრალისათვის 16 დიუმიანი თუჯის მილი.

✦ **სასულიერო სემინარიის შეხანახი ფული.** სემინარიის რექტორის დეკ. კიკილძის შუამდგომლობის გამო

| № 8 | Закавказскій Избирательный Округъ | № 8 |
|---|---|---|

**Голосую за списокъ**
Грузинской Націоналъ демократической партій

**№ 8**

1. Кедія, Спиридонъ Малхазовичъ
2. Гвазава, Георгій Бежановичъ
3. Карумидзе, Шалва Александровичъ
4. Мачаваріани Іосифъ Константинович
5. Бежанидзе, Сулейманъ Бегъ
6. Церетели, Василій Георгіевичъ
7. Вешапидзе, (Вешапели) Григорій Георгіевичъ
8. Журули, Георгій Дурмишхановичъ
9. Гордезіани, Георгій Павловичъ
10. Иваницкій (Ингило) Рафаилъ Александровичъ
11. Кекелидзе, Корнелій
12. Нижарадзе, Реджебъ Бекъ
13. Торадзе, Александръ Давидовичъ

**ხმას ვაძლევ ქართულ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას**

**№ 8**

1. კედია, სპირიდონ მალხაზის ძე
2. გვაზავა, გიორგი ბეჟანის ძე
3. ქარუმიძე, შალვა ალექსანდრეს ძე
4. მაჭავარიანი, იოსებ კონსტანტინეს ძე
5. ბეჟანიძე, სულეიმან ბეგი
6. წერეთელი, ვასილი გიორგის ძე
7. ვეშაპიძე, (ვეშაპელი) გრიგოლ გიორგისძე
8. ჟურული, გიორგი დურმიშხანის ძე
9. გორდეზიანი, გიორგი პავლეს ძე
10. ივანიცკი, (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე
11. კეკელიძე, კორნელი
12. ნიჟარაძე, რეჯებ ბეგი
13. თორაძე, ალექსანდრე დავითის ძე.

ვისაც ბიულეტენი არ მიგიციათ, ამოსჭერით ამ შავ ჩარჩოში ჩასმული სია და მიეცით.

## დამფუძნებელ კრების არჩევნები
# სოფლად 18 გიორგობისთვეს თავდება

**თუ რაიმე მიზეზით ვისმეს საარჩევნო მოწმობა არ მიუღია, შეუძლიანთ მიიღონ თავიანთ საარჩევნო უბნებში.**
**ბიულეტენზე ხელის მოწერა არ შეიძლე.**
**ბიულეტენი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მისცეს.**
**ამომრჩევლები კონვერტებს საარჩევნო უბნებში მიიღებენ.**
**ამომრჩეველი ჩასდებს კონვერტში ბიულეტენს, დაჰხურავს მას და ისე მისცემს კომისიის თავმჯდომარეს.**
**კონვერტში მხოლოდ ერთი ბიულეტენის ჩადება შეიძლება.**

ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა წინადადება მისცეს ბაქოს ეპისკოპოზს გრიგორს მისცეს მამა რექტორს ქართულ საეკლესიო ხაზინიდან ხვეროი ფული სემინარიის 3 თვის ხარჯების დასაფარავად.

✦ **ქალაქის საბჭოს სხდომა** დანიშნულია დღეისთვის (გიორგობისთვის 15), საღამოს 8 საათ. განსახილველია: ქალაქთა წარმომადგენლების კრების საკითხი, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდებაზე, სასურსათო საქმეების ქალაქის თვითმართველობის ხელში გადასვლაზე და სხ.

✦ **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების** კრებამ დაადგინა. 1) გადაკეთდეს საზოგადოების სკოლა ახალ პროგრამის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია მელიტონ ბალანჩივაძის მიერ; 2) ასეთივე სკოლა დაარსდეს ქუთაისში; 3) აღნიშნული პროგრამა გადაათვალიეროს კომისიამ, რომელშიაც არჩეულ იქმნენ მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, ნ. ქართველიშვილი, ქ-ნი ამირეჯიბისა და ბ-ნი ყარაშვილი; 3) სთხოვოს ბ-ნ დ. არაყიშვილს თბილისში განაგრძოს თავისი მოღვაწეობა.

✦ მწერალთა კავშირის საბჭოს კრება ეროვნულ ყრილობაზედ დელეგატების ასარჩევად მოხდება ხუთშაბათს 16 ნოემბერს, 8 საათზე დრამატიულ საზოგადოების კანცელარიაში.

✦ **ხურსათი.** გიორგობისთვის 14-ს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს მოუვიდა: ფქვილი 3 ვაგ., შაქარი 1 ვ. და კარტოფილი 2 ვაგონი.

✦ **ლექცია ხაქველმოქმედო მიზ.** ნით. რეალურ სასწავლებლის მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების ფონდის [illegible]

წაიკითხავს ლექციას ომზე და თანამედროვე საკითხებზე. ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზე.

✦ **ქ. შ. წ.-კ. საზ. რწმუნებულთა საზოგადო კრება.** ქრისტეშობისთვის 6-ს, ქ. თბილისში დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების განყოფილებათა რწმუნებულების საზოგადო კრება: განსახილველი საგნები: 1916 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიში. საზოგადოების მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

აღნიშნულ კრებაზე მოწვეულია 150 რწმუნებული: აქედან თბილისის განყოფილება გზავნის კრებაზე 50 რწმუნებულს, ბათომის—10, ქუთაისის—8, ბაქოსი—5, სენაკის, კაჯეთის და გუმბრისი—ოთხ-ოთხს; სამტრედიის, ოზურგეთის, არმავირის, სამეგრელოსი, ფოთის, ლანჩხუთის და ზუგდიდის—სამ-სამს; სიღნაღის, თელავის, გორის, ჭიათურის, განჯის და ცხინვალის—ორ-ორს; ტუაპსის, ვანის, გუდაუთის, ერევნის, ბორჯომის, დუშეთის, ალაგირის, ახალციხის, ლიხაურის, ოჩამჩირის, მარტვილის, ყვირილის, ხიდისთავის, ხონის, ხაშმის, ხაშურის, ჩოხატაურის, ონის და სოჩის—თითოს.

განყოფილებები ვალდებულნი არიან კრების დღემდე წარმოუდგინონ გამგეობას რწმუნებულთა სია და საზოგადო კრების ოქმიდან ამონაწერი აღრეული არჩევნების შესახებ.

### ქუთაისი

✦ **ქართული ხტამბის საიუბილეო დაზგა.** ელისაბედ წერეთლის ქალმა ქუთაისის ქართულ საზოგადოებას შესწირა თავის მამულში (ს. საჩხერეში) ყოფილი ქართული სტამბის საიუბილეო დაზგა.

✦ **მუნიციპალური წინადადებები.** [illegible]

### ს. გურჯაანი

✦ **საარჩევნო უწყება.** დამფუძნებელ კრების არჩევნები უკანონოდ ხდება და ძალადობის მიმართავენ

### ყვირილა

✦ **უკანონობა არჩევნებში.** დამფუძნებელ კრების არჩევნებში ათას უკანონობასა აქვს ადგილი და ყოველ ნაბიჯზე არღვევენ წესდებას.

### თიანეთი

✦ **უწესოება არჩევნებში** (დეპეშა). დამფუძნებელ კრების არჩევნებში სოციალ დემოკრატები დიდ ბოროტ-მოქმედებას იდენენ. იყო შემთხვევები, როცა მილიციონერები ამომრჩევლებს ემუქრებოდნენ ხმის მიცემის დროს. გთხოვთ გამოგზავნოთ საქმის კარგი მცოდნე წარმომადგენელი.

## ქართული პოლკის მანიფესტაცია

გიორგობისთვის 13 დიდ შესანიშნავი დღე. ამ დღეს, ქართული პოლკის ის ჯარისკაცები, რომელნიც ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის მიზნებს იზიარებენ, სამანიფესტაციოთ ქუჩაში დაიარდნენ. მათ წინ ავტომობილით ერ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი მოუძღოდათ. დიდი პლაკატი იყო ამართული წარწერით „საქართველო“ მანიფესტანტებს ხალხი ქუჩაზე აღფრთოვანებით ეგებებოდა. გოლოვინის პროსპექტზე ხალხი ქართველ მეომრებს ყვავილებს ესროდა.. თითქმის ყველა მეომრებს ეკავათ ხელში დიდი პლაკატი რომელზედაც მერვე ნომერი იყო აღნიშნული.

მეტის მეტად გულმხურვალედ შეხვდნენ [illegible]

წარმომადგენელნი. მთელი ქუჩა ყვავილებით მოიფინა. ამის შემდეგ მანიფესტანტები სხვა ქუჩებით შინისკენ წავიდნენ.

## საქართველოს ეროვნული ყრილობა

საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს მოუვიდა შემდეგი დეპეშები:

### ქუთაისიდან

**ქუთაისის ხელოსანთა ყრილობამ** დაადგინა მოითხოვოს, რომ საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც ინტერპარტიულ საბჭოს თაოსნობით გიორგობისთვის 19 შესდგება, მათ სამი ადგილი მისცენ. დაჟინებით გთხოვთ, უეჭველად მოაწყოთ ეს და შეგვატყობინოთ. განზრახულია აგრეთვე დელეგატების გამოგზავნა პროვინციიდან.

**ქუთაისის ვაჭრებისა და ხელოსნების ბიურო.**

**ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კლუბმა** საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე 2 ადგილი ერთობ მცირედ მიიჩნია. შუამდგომლობა აღძარით, რომ 6 ადგილი მოგვცენ.

**ქუთ. ვაჭარ მრეწველთა ბიურო.**

### ოზურგეთიდან

გთხოვთ გიორგობისთვის 19-ს ყრილობაზე, რომელსაც ინტერპარტიული საბჭო იწვევს, 4 ადგილი მოგვცეთ.

**ოზურგეთის ვაჭარ-ხელოსნები.**

### სენაკიდან

გთხოვთ ინტერპარტიულ საბჭოს მიერ გიორგობისთვის 19-ისათვის მოწვეულ ყრილობაზე მოგვცეთ 2 ადგილი სენაკის ვაჭარ-ხელოსნებს. [illegible]

## ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადო კრება

8 ნოემბერს საზოგადო. საკრებულოს დარბაზში შესდგა ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადო კრება. ამ კრებას დაესწრო როგორც ვაჭარ-მრეწველნი, ისე ხელოსნები და ნოქრებიც. მთელი დარბაზი გაჭედილი იყო.

კრება გახსნა ქუთაისის ვაჭართა საზოგადოების ბიუროს თავმჯდომარემ ბ. ყუფარაძემ და მოუწოდა აერჩიათ კრების პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ ტ. მარგველაშვილს, ი. ი. პურადაშვილს და მდივნათ დ. ადანაიას.

თანამედროვე მომენტის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა კრების თავმჯდომარემ ი. პურადაშვილმა.

ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების წესდებას კითხულობს ბ. ყუფარაძე. ის შეეხო წესდების რამდენიმე მუხლს და განმარტა ვაჭრობა-მრეწველობის მნიშვნელობა.

ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ტ. მარგველაშვილი. მან მოკლეთ გადასცა კრებას, თუ რა საკითხები გაირჩა ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა კრებაზე.

ამას შემდეგ ტ. მარგველაშვილმა წაიკითხა საყურადღებო მოხსენება კავკასიის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ყრილობის მოწვევის შესახებ. მან ის აზრი გაატარა, რომ ჩვენი ვაჭარ-მრეწველები ცალკე უნდა იქმნან შეკავშირებული—შეერთებული, რომ ამით ჩვენმა ვაჭრობა-მრეწველობამ ფრთა გაშალოს და აღორძინდეს. ასეთი აზრი დაბადებულა ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა საერთო ყრილობის ქართველ დელეგატთა წრეში. მომხსენებელმა სთქვა, რომ მომავალ ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ყრილობას უნდა დაესწროს წარმომადგენლები ყველა დაბა-ქალაქების ქართველ ვაჭრებისა, მხოლოდ, სანამ ეს მოხდებოდეს, მანამდის უნდა დაარსდეს ყველგან ვაჭართა საზოგადოებებიო.

მოხსენება კრებამ მოიწონა და გამოიტანა ასეთი დადგენილება:

„ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საერთო კრება აუცილებელ საჭიროებათ სცნობს ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქმნეს ამიერ-კავკასიის ქართველ ვაჭარ-მრეწველთ ყრილობა“.

მეტად საყურადღებო მოხსენება გააკეთა ქუთაისის დარბევის შესახებ ბ. ყუფარაძემ. მან გააბათილა ის აზრები, რომელიც საზოგადოებაში იყო გავრცელებული, ვითომც დარბევა გამოიწვია საქონლის გაძვირებამ. მან სტატისტიკური ცნობებით გაარკვია, თუ რამ გამოიწვია ზღაპრული სიძვირე, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ქუთაისში დაურბევიათ სულ 104 სავაჭრო, რომლის ზარალი უდრის 3.662,000 მანეთს.

კრება ყუფარაძის მოხსენებას ტაშის ცემით შეხვდა და გამოიტანა ასეთი დადგენილება: დაევალოს ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს, შეიმუშაოს დასაბუთებული მოწოდება, რომელშიც განმარტებული იქნება, თუ რამ გამოიწვია საქონლის სიძვირე, დაბეჭდოს საკმაო რიცხვი ასეთი მოწოდებებისა და დარიგდეს საზოგადოებაში.

საქართველოს უფლებებისა და დღევანდელი მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ნ. ლორთქიფანიძე. იგი ამბობს, რომ აღდგენილ უნდა იქნას ტრაქტატი 1783 წლისა, საქართველოს უნდა ჰყავდეს საკუთარი ჯარი და უნდა ჰქონდეს საკუთარი ფულის მოჭრის უფლება, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ ისეთ განსაცდელში არ ჩავარდეს, როგორც დღეს. ბ. ლორთქიფანიძემ კრებას მოაგონა, რომ 19 ნოემბერს ქალ. თბილისში შესდგება ეროვნული კრება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის ცხოვრებაში და ამ კრებაზე თქვენი წარმომადგენლებიც უნდა აირჩიოთო. კრება ნ. ლორთქიფანიძის მოხსენებას აღფრთოვანებით შეხვდა და შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: კრება სიამოვნებით ეგებება იმ ეროვნულ კრებას, რომელიც მოწვეულ იქნება 19 ნოემბერს ქ. თბილისში და გზავნის ამ კრებაზე თავის წარმომადგენლებს.

დასასრულ იმის შესახებ თუ რომელ პარტიას უნდა დაუჭირონ მხარი ვაჭარ-მრეწველებმა, მოხსენება გააკეთა ბ. ყუფარაძემ. მან ის აზრი გამოსთქვა, რომ ვაჭარ-მრეწველები საზოგადოდ უნდა გამოსულიყვნენ როგორც კლასი, მაგრამ, რადგანაც ჩვენ კიდევ ნორჩნი ვართ ჩვენ უნდა ვეძიოთ ისეთი მიმართულება, რომელიც იცავს კერძო საკუთრების მთლიანობას. თქვენ მიერ არჩეულმა საბჭომ ამაზე იქონია მსჯელობა [illegible] ნულ - დემოკრატიული პარტია და ეს თქვენც უნდა დაადასტუროთ, თუ გინდათ დაცული იქმნეს კერძო საკუთრება, სამართლიანი ... (...). ამისთვის საბჭოს ... მოწოდება, რომელიც უნდა გავრცელებულ იყოს საქართველოს ყოველ კუთხეშიო.

კრებამ თითქმის ერთხმად დაადგინა მხარი დაუჭიროს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და მის სიას № 8-ს და სურვილი გამოსთქვა ყველა დაბა-ქალაქის ვაჭრებმა, მრეწველებმა და ხელოსნებმა ერთი გზით იარონ ქუთაისელებთან ამ მძიმე დროშითა, არამცერი დაზოგონ ერ.-დემოკრატიულ პარტიის გასამარჯვებლად.

## მოწინავე რაზმი

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
**ორბ.**

ირ. წერეთელი რუსეთის „ტვენია“-ო. ამგვარივე იყვნენ სამეცნიერო თუ სამხედრო დარგებში თარხნიშვილი, პეტრიაშვილი, ეპ. გაბრიელი, ბაგრატიონი (1812 წლ.) და სხ. საკაცობრიო „ტვინად“ ჩაითვლება შოთაც, ვეფხვისტყაოსანი (ქართულიდამ ბერძნულად გადათარგმნა „ბალავარი“ რომელიც მაშინდელ ევროპიელთათვის შეიქმნა ხელით ხელს საგოგმანებელ სასწაულებრივ წიგნად), გიორგი მთაწმინდელიც (ამან მთელს ევროპას მოჰფინა ცნობილი ლექსი „ძელის რეკა, ძელის რეკა! რავდენს ფიქრებს აღმიძრავს გულში“!*) საშშობლო მხრისა, დახოცილ გმირთა, წარსულ საუკუნეთა და სხ.), დაბლა კიდევ: მურვანოზი, მირდატ ფარნავაზის ძე, მიტრიდატ დიდი. ანდა იგივე საქრისტიანო სარდლები და „მესიანთა სახლის“ (პალესტინის) მფარველები, ვით მირიანი, გორგასალი, დავით კურაპალატი, იმპერატორი ბაგრატ მესამე, დავ. აღმაშენებელი, გიორგი დიდი, ამის ასული თამარ და სხ.

თვით ქართველ ერის მოწინავე რაზმობა უფრო ღრმადაც მიდის, საუკუნეთა წყვდიადიდამ აღმოანათებს თანდათან ნათლად.

წინაპარი ქართლოსი მოდის მცხეთა-არმაზში არარატისა და მასისის (მასიუსის) არედამ, სადაც აწინდელი კუნეოლოგები პოულობენ იმდროინდელ ძრიელ ცივილიზაციის ნაშთებს, სხვათა შორის აგრეთვე წოდებულ ლურსმებრივ წარწერებსაც, რომელთა ენა ძველ ქართულ ენად ესახებათ. ეს ცივილიზაცია უხუცესი იყო თვით ეგვიპტის ცივილიზაციაზედაც, და მის ადგილასა და მის შერევნით შემდეგში გაიფურჩქნა ბაბილონი და ასურეთი. იმ ძველ ცივილიზაციის შემქმნელნი იყვნენ მონათესავე გვარ-ტომნი, რომელნიც მოსახლეობდნენ აქადს, ნაირს, ურარტუ—ურთუ, ხეთას. აბრაამი რომ შუამდინარიდამ წავიდა (2040 წ.) პალესტინას, იქ მაშინ ცხოვრობდნენ ნაირის მონათესავე ხეთელნი და მათგან მცირე ადგილი იყიდა მახპელას, რომ დაემარხა თვისი ცოლი სარა. კაპადუკიაში უწინარეს ქამითგან ცხოვრობდნენ ქართველ მოდგმისანი. შემდეგ დროებში ეს ქვეყანა გაბერძნდა, მაგრამ აქაური უუძველესი დროის ნაშთები კი ეკუთვნითო ხეთელებს და არა ბერძნებს. საყურადღებოა, რომ ვიდრე გამოსახიერდებოდა ბერძენთა ერი, მანამდე კრეტას (კრიტს), არხიპელაგონის კუნძულებზე, თესალია—მაკედონიის კიდეებზე არსებობდაო ძველი ცივილიზაცია (მიკენის სიძველენი—შლიმანისა და სხვ.)

ღირსია ყურადღებისა ცნობები კუნძულ კრეტას შესახებ. აქ მეფობდაო სჯულმდებელი მინოსი (მე-XIII საუკ. წ. ქრის. უწინარეს). ათინელებს ხარკათ ეძლოთო შვიდ-შვიდი ვაჟი და ქალი; ცხრა წელიწადში ერთხელ ამ ცოცხალ ხარკს ისტუმრებდნენო კრეტას, სადაც მათ შჭამდაო მინოტავრი. ერთჯერ ამ ხარკში მოჰყვაო თეზევსი, მეფის ქალის არიადნას დახმარებით (მისცა გორგლად დახვეული ძაფი) შევიდაო ლაბირინტში და მოჰკლაო მინოტავრი.

საყურადღებო აქ ის არის, რომ ბერძენთ ღმერთების უმეტეს ნაწილის სამშობლოდ, მათ აღზრდისა და თავდაპირვანდელ მოქმედების ადგილად ითვლებოდნენო დასახელებული კუნძულები. მოწმად ამ ღმერთების სიყმაწვილე-ჭაბუკობისა იყვნენო არა ბერძენნი, არამედ ძველი დროის კუნძულელები, კურეტნი, ქორიბანტნი და სხვ. კურეტებმა კრეტას გამოზარდესო იუპიტერი, რომელიც რეამ მათ ჩააბარა, რათა დაემალათ სატურნისაგან. ამ რეას შეიარაღებული მცველები იყ- [illegible]

*) ეს ლექსი თარგმნილია მრავალს ევროპიულს ენებზე და აგრ. კალენ[illegible]

ვნენო ქორიბანტნი—კოლხნი. შლიმანმა კრეტაზე აღმოაჩინა 2,000-ზე მეტი ზედწარწერიანი ლორფინები. სამწუხაროდ, ეს წარწერები ჯერ ვერ წაუკითხნიათ. ოლონდ სტრაბონი ამბობს, რომ მედეას გამტაცებლების მდევრად წასულ კოლხთა კვალი შეინიშნებაო კრეტას კუნძულებამდე, იტალიამდე და ადრიატიკის ზღვამდეო. ბერძენთა მწერლებივე აღნიშნავენ, რომ იმავე კოლხებმა ეპირში დაიარსეს ქალაქი პოლა, რომელიც მათს ენაზე ნიშნავსო „გაქცეულები“. (ალბად იყო ხრბოლა!), ხოლო მის პირდაპირ ისტრიაში სხვა ქალაქი აბსორის (თუ იყო აბსური, ე. ი. აფხაზური). აიეტის დის ცირცეას სახელი გამოხმაურდაო, ამბობს ბარონი უსლარი (გვ. 381), ტირრენის ზღვის კიდეებზე იტალიაში: ოდისეი გადმოვიდაო ცირცეას ყურეზე (აწინდელ ჩირჩეოს, პაპის ოლქსა და ნეაპოლს შორის), იქ იცხოვრაო ცირცეასთან დიდხანს და მისგან ეყოლაო შვილები, მამამთავარნი იტალიის ახლანდელ ხალხებისა (თეოგონია, 1011). მედეა გაეყარაო იაზონს და შეირთოო ათინის მეფე ეგეა და ბოლოს იაზონთან ერთად დაბრუნდა კოლხიდას და მერე დაარსაო მედეა ანუ მიდია.

ამ ცნობით ნათელი ეფინება ქართლის ცხოვრების გადმოცემას შესახებ ქართლოსის ძმის ბარდოსისა, რომლის სახელს ეხმაურება ბარდავი (=ბერდაა, განჯა), ბერდუჯი, პართია—მიდია, რომელთა საერთო სახელად გაუგვარდით არანი ანუ რანი საზოგადოდ.

აქ შემოგვაქვს მოკლე ცნობა შესახებ „არან-ქართლისა“. ამ ცნობას შორეული დამოკიდებულება აქვს ერთის მხრით სპარსეთის და მეორეს მხრივ საქართველოს (მცხეთის) სამეფოების დაარსებასთან, და აგრეთვე იმ ამბავთანაც, რომ მიდია დააარსაო კოლხეთის მეფის ასულმა მედეამ.

ამ მიდიას წინად ერქვაო არიანა და მის მოსახლეთ—არიელები. მასში იყო ქვეყნები საგართი, კადუსი. იქვე იყო მთა კავკასიონი მწვერვალით ლაბუზი (ილბურზი). ამათ დახმარებით უმთავრესად კვიროსმა დაამარცხა ასტიაგი და დააარსა სპარსთა სამეფო 558 წ. ქ. წ. მაშინ კადუზთა მეფედ იყო ჯერ ონოფერნი და მერე დათამი. თეიმურაზ ბატონიშვილს დიოდორი სიცილიელიდამ მოჰყავს ცნობა, რომ კადუზიანთ ქვეყანა ივერიაო და მათ სპარსთა სახელმწიფოს დამაარსებელს მიაშველესო 200.000 მეომარი. „ელინარიანით“, კადუზიანთა მეფე ფარსმანს, გმირთა გმირს, ეახლნენ „ყმანი თვისნი კოლხეთისა კერძოსანი და საგადუნიოისანი“ და მეფე და მისი ქვეშევრდომები ღმერთებად ესავდნენ არმაზს, ზადენს, გაციმ და გაიმს, აგრეთვე ცეცხლს.

იგივე კადუსნი, როგორც იუწყება ბეკკერი თავის მსოფლიო ისტორიაში გვ. 123, თანა-მოსაგრენი იყვნენ ალ. მაკედონელის მეტოქე დარიოზისა, და ეს ალექსანდრე კი, რომ მოეგო გული დაპყრობილ ხალხებისა, ხშირად მათ მეფე-მთავრებს მოწყალედ ეპყრობოდა, სამთავროებს უდიდებდა, ან ახალ ქვეყნებში ამთავრებდა. აი სწორეთ ამ დროს შეეწერება სამეფოს დაარსება მცხეთაში. მანამ კი აქაურ ქართველობას მამასახლისური წეს-წყობილება ჰქონდაო.

სამეფოს დაარსებას კი ასრე გადმოგვცემს ჩვენი მატიანე:

ალ. მაკედონელს თან ჰყვანდაო „აზოჲ (=აზონი) ძე არან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი, ეგრის წყალი, სომხითი და მთაჲ ცროლისა (ეს არის ალბად თიანეთის მაზრის ცროლის გორა უკანა ხადოში). ხოლო ესე აზოჲ წარვიდა (მცხეთიდამ არან—ქართლად მამისა თვისისა, და წარმოიყვანა [illegible] სახლი და ათხი სახლნი მამა-ძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას, და თანა ჰყვანდეს კერპნი ღუთად გაცი და გაიმ, და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოჲ, ძე არან-ქართველთა მეფისაჲ“.

ცხადია, მცხეთის პირველ მეფე აზომდე ქართველთა მეფობა ყოფილა არანს (რანს), ქართლოსის ძმის ბარდოსის ნაწილს პართიას ბარდავს) იქაურ საგართიას (საქართიას!*) ანუ მიდიისა, ქართლი.

კადუსიას და იქიდგან მოუყვანია 18 სახლობა იქაური ქართველობისა და თან მოუტანია კერპები გაცი და გა. მას მცხეთაში დახვედრიან ქართლოსმცხეთოს-უფლოსის შთამომავალნი მამასახლისი სამრა და მისი ძმა, ესენი დაუხოცია და გამეფებულა, ალბად, 330 წელს, როდესაც ალექსანდრე იყო კადუზია-საგართია-ჰირკანიას, ვიდრე გაქცეულ დარიოზს გამოეკიდებოდა, მცხეთას გამოგზავნა თავისი მომხრე ხსენებულ კადუზ-საგართიას მეფის ძე აზო და დაავალა დაეჭირა მცხეთა და გაემაგრებინა დარიალის კარი, რომ აქედგან არ ჩამოსულიყვნენ ჩრდილოეთის ველურები და ზურგით არ მოჰქცეოდნენ ინდოეთისკენ მიმავალ მაკედონელებს. ესეთს სიფრთხილეს გამოიწვევდა ის გარემოებაც, რომ იმ ხანს სარკინეთ-კასპ-უფლისციხე-ურბნისიდამ მტკვრის თავამდე ჩამოსახლებულიყვნენ აღმოსავლეთის ველურები—ბუნ-თურქები (ალბად ფინ-თურქები) და ჰონნი (=ჰუნნი), რომელთაც შეეძლოთ აქედგან მიშველებოდნენ თავის კასპიის ზღვის იქით მოსახლე მოძმეებს, რომელთა ქვეყანაში გალაშქრებას აპირებდა დიდებული სარდალი მაკედონელებისა.

მცხეთაში გამეფებული აზო შესაძლებელია ყოფილიყო იაზონიდი, ე. ი. შთამომავალი მედეას ქმრის იაზონისა, თუმცა არის ცნობა, რომ მცხეთის მეფე აზო იყოო ალ. მაკედონელის ნათესავი.

ვიმეორებ, მცხეთაში გამეფებულ აზომ, დაიპყრო რა ძველის-ძველი ქართლოსის დროითგან არსებული სამამასახლისო ტახტი მცხეთისა, შორეულ არან-ქართლიდამ, როგორც ვთქვით, წამოუყვანია 18 სახლი იქაურ ქართველობისა და თან წამოიღო იქაურ ქართველების ადგილობრივ ღმერთების ნიშნები—კერპები და იგინი აღმართა არმაზს (გა, გაცაჲ). ზადაზენს (ზადენი). (აღსანიშნავია რომ ეს გა აგრეთვე ღმერთად იყო ქალდეველების მონათესავე ნაბათელებისა).

მხოლოდ ამ აზოს ნათესაობით იმ ძველ იაზონთან შეგვიძლია ავხსნათ ტაციტის გადმოცემა, რომ ივერნი და ალბანელნი თავის თავს სთვლიანო თესალიელთა შთამოებად. ამბობენო, რომ იაზონმა მოიტაცა-რა მედეა და შეიძინა-რა მისგან შვილები, აიეტის სიკვდილის შემდეგ მოვიდა მის თავისუფალ ტახტის დასაჭერად.

საკვირველი ის არის, რომ სწორედ ამავე თესალიიდამ იყვნენ ის ფრიქსი და ჰელლე, რომელნიც მფრინავ ვერძით მოჰქროლავდნენ მზიან კოლხეთისაკენ, და ეს კოლხეთი-კი ბერძნებისთვის იგეთივე აღთქმულ ქვეყნად ითვლებოდაო, ვით ეგვიპტეში გადასახლებული ებრაელებისთვის პალესტინა. მაგრამ კაცმა არ იცის, ეს ბერძნები ნამდვილი ბერძნები იყვნენ, თუ ელლადის მინადრები ანუ გაბერძნებული მოსახლენი იმ ქვეყნისა, ქორიბანტნი—კოლხნი და სხ.

მ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) მეგრ. ქორთი=ქართლი. სვან. ქართ.

ვისაც ბიულეტენი არა გაქვთ, ამოსჭერით მე-3 გვერდზე შავ ჩარჩოში ჩასმული სია და მიეცით.

## ქ. ვორონეჟის ამბები

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„ბოლშევიკების“ გამოსვლამ პეტროგრადიდამ ვორონეჟშიაც გადმოისროლა თავისი მოზიზღული ყუმბარა. აქაც დაიწყო ერთგვარი დრტვინვა როგორც მოქმედ პარტიათა და ხალხში, ისე ჯარისკაცებში. ჯარები სხვა და სხვა დროშის ქვეშ ჯგუფდებოდნენ, არავითარი დისციპლინა, არავითარი წესიერების ნასახი. ისე მოსჩანდა, თითქოს ჯარისკაცთა შორისაც ერთგვარმა უსდოლობამ დაისადგურა.—არავის არაფერისა სჯეროდა. ერთმანეთს უფრთხოდნენ. კეთილგონიერებაზე გაიმარჯვა ამა თუ იმ ჯგუფში აფრიალებულმა დროშამ ამა თუ იმ დევიზის ერთგვარმა პლაკატებმა.

რომ წესიერება დამდგარიყო და საქმე არ გამწვავებულიყო ურთიერთშორის, ჯარებში უფროსთაგან დაიბადა აზრი ყველა პარტიები კომპრომისებზე გადაეყვანათ და შეემუშავებინათ საზოგადო შეთანხმებული პლატფორმა. ამ მიზნით 30 ღვინობისთვეს, 11 საათზე დაინიშნა მთელი ვორონეჟის აფიცერთა კრება, მტკიცე ორგანიზაციის შესაკვრელად, რომ ურთიერთ შორის სისხლის ღვრა აეცილებინათ თავიდან. სამწუხაროდ კრება არ შესდგა და არ შესდგა იმიტომ, რომ უკვე პრაპაგანდამ და პეტრეს ქალაქიდან მოსულმა მძაფრმა ამბებმა უთანხმოების ცეცხლი დაანთო და ახლა ქარიშხალს ელოდა, რომ ცეცხლი იმ შეუხარავი სახით მთელ ქალაქზე გადაეტანა. პოლკოვნიკი იაზიკოვი, რომელიც თავგამოდებული იყო, რომ შეთანხმება მოეხდინა, ვერას გახდა. აღნიშნულ კრებაზე მან ვერც კი მოასწრო ტრიბუნაზე გადმოდგომა, რომ შეატყობინეს: შენივე პოლკი 5 ტყვიისმფრქვეველით აქეთ მოდის მთელი კრების გასანადგურებლადაო. და კრების მომწყობნი ხომ, როგორც მოგახსენეთ, აფიცრობა იყო. ჯარისკაცებს მოესურვებინათ მთელი აფიცრების ამოჟლეტა, რა არის შემდეგ უფრო თავისუფლად შესძლებოდათ თარეში და ადამიანებზე ნადირობა. ჯერ კიდევ წინა დღეებში გაისმოდა ასეთი მუქარა აფიცრების შესახებ და ეხლა ხომ დაუჯერებელი აღარა უნდა ყოფილიყო რა.

მართლაც, ხმები გამართლდა. კრების ადგილისაკენ მოემართებოდა ჯარის კაცობა. ეს უფრო შეიარაღებული ბრბო იყო, ვიდრე მწყობრი მხედრობა. წითელ დროშებზე ყოველგან „ბოლშევიკური“ მოწოდებანი იყო. ყოველისფრიდან სჩანდა, რომ მდგომარეობა საშიში იყო. პოლკოვნიკმა იაზიკოვმა ოფიცრებს ურჩია ბრიგადის შტაბში წასულიყვნენ, რომ რაიმე უბედურობა არ მომხდარიყო. ოფიცრები შტაბისკენ გაემართნენ, მაგრამ ჯერ არც-კი შეეღოთ კარები, რომ უკნიდან სროლა ასტყდა. იაზიკოვმა ოფიცრები გააფრთხილა: იარაღი მოიმარჯვეთ, მაგრამ სროლა ჯერ არ დაიწყოთ, იქნებ კეთილმა რჩევამ გასჭრას და შევრიგდეთო. თვითონ პოლკოვნიკი ამ სიტყვების შემდეგ ჯარისკაცებისკენ გაემართა, ანიშნებდა შეჩერებას, მაგრამ ვიდრე რამდენიმე ნაბიჯს გადასდგამდა, ტყვია მოხვდა. დაჭრილ იაზიკოვს ოფიცრები მისცვივდნენ და გამოტაცება მოისურვეს, რომ ის ადგილი ბოლში გაახვიეს ჯარისკაცებმა, რომელნიც რკალსავით შემოერტყნენ სადაც პოლკოვნიკი დასჭრეს და ჩექმის ქუსლით, ხიშტით თუ კონდახების ცემით სული გააყრევინეს.

პირველ ხანებში თითქოს ჯარისკაცთა სიბრაზე ამით დაკმაყოფილდა. ოფიცრობა ასცდა პირისპირ შეტაკებას. მაგრამ ნაშუადღევზე ისევ იბრუნეს პირი და დაიწყეს ყველას ჩხრეკა. დადიოდნენ ოჯახ-ოჯახ, უმეტესად ოფიცერთა ბინაზე და იარაღის ჩამორთმევას უბრძანებდნენ შინ მყოფთ. ქუჩებში ხომ გავლა აღარ შეიძლებოდა. ოფიცრებს ჯიბეებსაც კი უჩხრეკდნენ. ამან კი უკანასკნელი მოთმინების ძაფი გასწყვიტა და ოფიცრობამაც ხმა ამოიღო. ეს იყო ნიშანი სამოქალაქო ომის დაწყებისა და ერთურთზე ნადირობის გაჩაღებისა. სროლა, მტვრევა და ხოცვა-ჟლეტა არ შეწყვეტილა ღამითაც. აი, ეხლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ შუაღამეა გადასული... რით გათენდება ხვალინდელი დღე, რა იქნება? არავინ იცის. მე კი ვუსურვებდი ჩემს ქვეყანას, მზგავსი ჯოჯოხეთი ასცილებოდეს თავიდან...

მ. ზრიძელი.

ქ. ვორონეჟი, 31 ღვინობისთვე.

## კორესპონდენცია

### ახალციხიდან

ქალაქ ახალციხის სამკითხველოში ყოველ შემსვლელს, არა სომეხს, დაებადება აზრი: ვიმყოფები მესხეთის დედა ქალაქში თუ ეჩმიაძინ-განზში? შეხვალთ თუ არა, გხვდებათ მაგიდაზედ გაზ. „მაკუ“, „კავკაზ. სლოვო“, „კავკაზი“, რუსკოე სლოვო“ და შემდეგ მოდიან სომხური გაზეთები ოთხი ხუთი ცალი, ამასთან სამი ოთხი სომხური ჟურნალები და სხვა. ქართული კი? ქართულს აქ ბ-ბო, უპატრონოდ და უსანთლოდ ვერ იპოვით და ისიც დიდი ძებნის შემდეგ გხვდებათ გაზ. „სახალხო საქმის ორი ცალი ოქტომბრის 17—18 რიცხვის გამოსული ნომრები. ერთი მითხარით, ბ-ბო, აქ შემსვლელ ქართველმა რომელი გაზეთი უნდა წაიკითხოს? ნუ თუ ჰგონიათ ახალციხის სომხებს, რომ გაზ. „კავკ. სლოვო“, „მაკუ“, „კავკაზი“ ქართველის სულიერ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს? ან და განა კმარა გაზ. „სახალხო საქმის“ თვეში ერთი ნომრის მიღება? რატომ არ უნდა იყოს სამკითხველოში ყოველ დღიური გაზ. „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ვოზროჟდენიე“ და ქართული ჟურნალები.

სამკითხველოს დაარსებაში, როგორც სომხებმა, ისე ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა ფულით და წიგნებით—ესეც რომ არ იყოს, მაშ რადად ატარებს სახელს: „ქალაქ ახალციხის სამკითხველო“, მაშ სად არის ქალაქის სამკითხველო? ან შეიძლება სთქვან, რომ ქართულ ჟურნალ გაზეთებს მკითხველი არა ჰყავსო და იმისთვის არ ვიწერთო? ამ კითხვაზედ კი მინდა დავარწმუნო ბ.ბ. ახალციხის სომხები და მკითხველები, რომ ქალაქ ახალციხეში, ინტელიგენცია, საზოგადოდ გაზეთის მკითხველი ქართველები თუ სომხებზედ მეტნი არა, არც ნაკლებია: სასწავლებლებში, ფოსტაში, ხაზინაში, ჯარში და სხვაგან უფრო მეტი ქართველია და ახალციხის ინტელიგენციაც ამათგან შესდგება. ეგებ მითხრან: თუ მაგრე ბევრი გაზეთის მკითხველები გყავთ, რატომ არ მოდიან სამკითხველოშიო, ჩვენ ვერავის ვხედავთ და ამ ტომ არ ვიწერთ გაზეთებსო? მიიღეთ: ბ-ნო სომხებო, ნუ თუ გგონიათ, რომ ქართველები გაზ. „მაკუს“ კითხვით და სომხური გაზეთის ცქერით გაძღებიან? ნუ თუ არ იცით, რომ ყველა კაცს აინტერესებს თავის მიმართულების პოლიტიკური მიმდინარეობა; თავის საკუთარი ერის ცხოვრება და სხვა? პატ. სამკითხველოში ქართველთათვის არც პირველია და არც მეორე. ერთხელ სამკითხველოში ერთმა ვაჟბატონმა, ჩემ კითხვაზე, თუ რად არ გამოუწერიათ ქართული გაზეთები, მომიგო შემდეგი: ახალციხეს ქართველი მკითხველი არა ჰყავსო, როცა ვკითხე, ვინ ვართქო—ღიმილით მიპასუხა: სომხები ხართო (საზოგადოდ სომხებს, ყველა ახალციხეში მყოფი სომეხი ჰგონია) როცა ვუთხარ, სომეხი კი არა ქართველი ვარ მეთქი, და ფიქრდა, და მერე საჩქაროდ მიპასუხა: ქალაქის საბჭომ არც სომხებს გამოუწერა გაზეთებიო; თქვენ რასაც ხედავთ, სულ შემოწირულია. ასეთმა პასუხმა დამაფიქრა, ხმა ამოუღებლივ გამოვედი და დღევანდლამდის აღარ მივდივარ. რამდენი ჩემისთანა მისული და გულჩაწყვეტილი უკან დაბრუნებულა? ახალ ქალაქის საბჭოში ქართველებიც არიან. ახალმა საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს ასეთ უსამართლობას. ახსოვდეთ, რომ ახალციხის ქართველთა სულიერი მოთხოვნილება დიდია.

ნ. ანახარიძე

რედაქტორი ნიკოლოზ მუშაპელი.

## კალენდარი

### ოთხშაბათი, გიორგობისთვის 15

ქართვ. წმ. მოწ. და აღმსარებელნი გურია, სიმონა და აბიბოსი.

კათოლ. წმ. ლეოპოლდოსი.

მაჰმად. ჩარ-შამბე 12 რიც. საფარი 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომრევიყი 14 რ. ქისლევ 5678 წ. ქვეყნ. შექ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ საფ. № 5, 11,32 დილ.
სამგზ. № 9, 11.28 დილ.
ხაშური-ბორჯომის. № 19, 3.17 დღ.
„ „ № 17, 8.19 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.51 დილ.
„ საფ. № 4, 8.46 საღ.
საქარასკენ სამგზ. № 4.8, 12.15 საღ.
„ № 61. 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე).
„ № 63.4, 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან სამგზ. № 10, 8.38 დილ.
„ საფ. № 6, 7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.57 დილ.
„ სამგზ. № 18, 9.50 საღ.
ბაქოდან საფ. № 8, 10 26 დილ.
„ ჩქარ. № 5, 10 20 საღ.
ყარს-ჯულფ. საფ. № 3***, 7. 58 დილ.

## კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.